ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2379833

ნომერი: AR1363170

თარიღი : 14.12.2015

გაცემის თარიღი : 11.01.2016

გაცნობის თარიღი : 12.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინო ჩხეიძე , N 43 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N 45 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N 43 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N37-სა და N43-ს შორის , (ნაკვეთი N62/12) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N37-სა და N43-ს შორის , (ნაკვეთი N62/11) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩხეიძე , N 43 , მიმდებარედ ნაკვეთი 62/014/ ქალაქი თბილისი , ნ. ჩხეიძის ქუჩა N37-სა და N43-ს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რატი შენგელია პ/ნ 01024074383
- საქართველო, ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძეს ქუჩა, N 27, ბინა 27

ორგანიზაცია:

- ინოვაციური სამშენებლო-საინჟინრო კომპანია კოდი: 405026458

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.07.2012 წ. #275865 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქ. რატი შენგელიამ (თანაგანმცხადებელი: გიორგი ბეროშვილი) 14.12.2015 წ. #AR1363170 განცხადებით მომართა ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.07.2012 წ. #275865 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 25.07.2012 წ. #275865 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ქუჩა ქუჩა ნ. ჩხეიძის N37-სა და N43-ს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 1104 კვ.მ.; საკადასტრო კოდი #01.16.06.062.013) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დადგენილ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ამავე სამსახურის 14.12.2012 წ. #470858 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.
განმცხადებელი მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: #01.16.06.062.019, ფართობი: 1729 კვ.მ.), რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ შეცვლილია საკადასტრო ერთეულის მონაცემები.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 25.07.2012 წ. #275865 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.07.2012 წ. #275865 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ საკასტრო კოდი დაფიქსირდეს: 01.16.06.062.019, ფართობი: 1729 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.07.2012 წ. #275865 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: #01.16.06.062.019, ფართობი: 1729 კვ.მ. რეგისტრაციის #882015339502, მომზადების თარიღი: 18.06.2015 წ.);
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 25.07.2012 წ. #275865 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 14.12.2012 წ. #470858 ბრძანებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.